03/11/2026

MES 0 26 0001590165

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 20.10.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:08
სხდომის დამთავრების დრო: 18:09
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი – საბჭოს მდივანი;
3. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
4. **პეტრე ბაბილუა** - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
5. **მაია ბარბაქაძე** - სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი;
6. **ვალერიან გობრონიძე** - სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. **ფრიდონ გოგიაშვილი** - სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **თინათინ გოგნაძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
9. **ინგა დიასამიძე** - სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
10. **ავთანდილ თავხელიძე** - სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კვლევითი და ტექნოლოგიური ცენტრის „ნანოსტრუქტურები განახლებადი ენერგეტიკისათვის“ (ლაბორატორია) დირექტორი;
11. **შალვა კელეპტრიშვილი** - სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
12. **ხათუნა ლომაური** - სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ნეონატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
13. **თამარ მერაბიშვილი** - შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს პროფესორი;
14. **თეა ნარეკლიშვილი** - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
15. **ნინო ხოლუაშვილი** -შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
16. **ლია სანოძე** - სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი;
17. **სალომე ტყეშელაშვილი** - სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი;
18. **ლევან ციცქიშვილი** - სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
19. **გიორგი წანაწყენიშვილი** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
20. **ეკატერინე ჭალაგანიძე** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
21. **მარიამ ხოფერია** - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

22. **თამარ ხურცილავა -** შპს აიქიუ კლინიკის გენერალური მენეჯერი, შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებული პროფესორი;
23. **დავით ჟინჭარაძე -** სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი.

მოწვეული საბჭოს წევრები:

1. **ქეთევან ასათიანი** – შპს ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის ექიმი, ევროპის ენდოკრინოლოგთა ასოციაციის (ESE) წევრი;
2. **დოდონა ახვლედიანი** – შპს ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის კარდიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
3. **ეკა ბოჭორიშვილი** – სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სამედიცინო პროგრამების რევიზია/კონტროლის სამმართველოს უფროსი;
4. **ნინო გეგეშიძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს გადაუდებელი ნევროლოგიის კლინიკა „ნევროლოგიის“ ექიმი;
5. **თეიმურაზ გოლეთიანი** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის კომპიუტერული და მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიის განყოფილების ექიმი;
6. **დავით კობეშავიძე** – შპს იმედის კლინიკის სამედიცინო დირექტორი;
7. **ირმა მანჯავიძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. **ეკატერინე მგალობლიშვილი** – სს რუსთავის №2 სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის ექიმი, სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ხელმძღვანელის მოადგილე;
9. **ნანა მებონია** – სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ქრონიკული დაავადებებისა და ტრავმატიზმის სამმართველოს უფროსი;
10. **ნანა ნიკოლაიშვილი** – შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი, შპს ავერსის კლინიკის ცენტრალური ფილიალის ექიმი.
11. **მარინა სისვაძე** – სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ხარისხის უზრუნველყოფის, მონიტორინგისა და ანალიტიკის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
12. **ირინე ფხაკაძე** – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენელი:

1. **ლია ხარებავა -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
2. **ქეთევან პავლიაშვილი**- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
3. **ლალი ოდიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

1. **სალომე პირველი** - რექტორი;
2. **მაკა კობალავა** - სენატის თავმჯდომარე;
3. **ანჟელა აბულაძე** - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
4. **თამარ შარაშენიძე** - მედიცინის სკოლის დეკანი;
5. **ოთარ აბულაძე -** მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
6. **სოფიკო ალფაიძე** - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;
7. **კოკა გოგიჩაიშვილი -** აკადემიური პერსონალი.

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ

1. **ელისო ელისაშვილი** - რექტორი;
2. **მარიამ დარბაიძე** - ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით ვიცე-რექტორი;
3. **სოფო კაკალიაშვილი-ძაგნიძე** - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

1. **კახი ყურაშვილი** - ვიცე რექტორი;
2. **ნინო სეფაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **დავით ნიჟარაძე** - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. **ტრისტან გულბიანი** - რექტორი;
2. **ჯემალ ძაგანია** - პრორექტორი;
3. **გიორგი ზუბიტაშვილი** - პროგრამის ხელმძღვანელი;
4. **ნინო ძაგანია** - ფაკულტეტის დეკანი;
5. **მარიამ პაპიაშვილი** - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **მაია ხურცილავა** - უნივერსიტეტის ხარისხის უზრნველოფის სამსახურის უფროსი;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. **ქეთევან ხუციშვილი** -პროფესორი;
2. **დარეჯან გარდავაძე** - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
3. **ნინო ქიმერიძე** - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილება, ასოცირებული პროფესორი;
4. **შოთა ფოთოლაშვილი -** თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

- **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი;

- **თალიკო ჟვანია** - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- **თინათინ კაიშაური** - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი;
- **ანა კობიაშვილი** - ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ინჟინერია" ხელმძღვანელი, პროფესორი;
- **ალექსანდრე ბენაშვილი** - ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ინჟინერია" ხელმძღვანელი, პროფესორი;
- **ლევან იმნაიშვილი** - კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ინჟინერია" ხელმძღვანელი, პროფესორი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

1. **მიჰაი ბოროში** (Mihaly Boros) (I საკითხი);
2. **დრაგან ჰრნიჩი** (II საკითხი);
3. **თამარ გოდერიძე** (I და II საკითხები);
4. **ელენე ზურაბიშვილი** (II საკითხი);
5. **გულნაზი მაღრაძე** (I და II საკითხები);
6. **ია ნაცვლიშვილი** (III საკითხი);
7. **ქეთი ცხადაძე** (III საკითხი);
8. **თამარი რაზმაძე** (III საკითხი);
9. **ლელა აფციაური** (IV საკითხი);
10. **ნინო ქიმერიძე** (IV საკითხი);
11. **თამარ ჩარკვიანი** (V საკითხი);
12. **დიანა მჭედლიშვილი** (V საკითხი);
13. **ლია კურტანიძე** (VI საკითხი).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **ლევან შავაძემ.**
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:09 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის "მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ანთროპოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული შეფასების პროცესი);
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიატციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის "მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ანთროპოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული შეფასების პროცესი);
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიატციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის "მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მედიცინა
საფეხური: მედიცინის ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს კოდი: 0912 მედიცინა
სწავლების ენა: ინგლისური

კრედიტი: 360
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს სხდომა დატოვა მოწვეულმა საბჭოს წევრმა თეიმურაზ გოლეთიანმა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია

საერთაშორისო ექსპერტმა, მიჰაი ბოროშმა, განმარტა, რომ აკრედიტაციის დასკვნა ეფუძნებოდა მიმდინარე წლის ივლისში შპს „ნეუ – ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტში“ განხორციელებული ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლენილ მიგნებებს. მისი განმარტებით, დასკვნის მომზადებისას გათვალისწინებული იქნა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია, რის შემდეგაც საბოლოო დასკვნა ცენტრს წარედგინა. ექსპერტის შეფასებით, უნივერსიტეტს ჰქონდა საკმარისი დრო და შესაძლებლობა, დეტალურად გასცნობოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნას.
მიჰაი ბოროშმა მიმოიხილა ძირითადი საკითხები, რომლებიც, მისი შეფასებით, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებდა. მისი განცხადებით, რეკომენდაძიები ძირითადად პირველ და მეორე სტანდარტებს შეეხებოდა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც ჰქონდა შენიშვნები, მოსაზრებები და რეკომენდაციები. საერთო ჯამში, ჯგუფმა გამოყო 16 საკითხი, რომლებიც განხილვას საჭიროებდა. დროის შეზღუდვის გამო კი ექსპერტმა გადაწყვიტა, მხოლოდ სამ ან ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე შეეჩერებინა საუბარი.
პირველი საკითხი, რომელიც საერთაშორისო ექსპერტმა განიხილა, ექვსწლიანი სამედიცინო პროგრამის ახალი კურიკულუმი იყო. მისი შეფასებით, კურიკულუმი დაწესებულების მიერ კარგად იყო შემუშავებული, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა რამდენიმე მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხიც გამოავლინა.
ვინაიდან აღნიშნული პროგრამა ჯანდაცვის სკოლის ფარგლებში შემუშავდა, ხოლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ამ სკოლის პროგრამების შესახებ, მათ შორის, საექთნო ინგლისურენოვანი პროგრამის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფის მოლოდინი

იყო, რომ სამედიცინო პროგრამის დანერგვის შემდეგ ჯანდაცვის სკოლა როგორც საექთნო, ისე სამედიცინო განათლებას გააერთიანებდა. ეს გარემოება ინტერვიუების დროსაც დადასტურდა. თუმცა თვითშეფასების ანგარიში, თანდართული დოკუმენტაცია და ინტერვიუები არ იძლეოდა მკაფიო წარმოდგენას სკოლის დაგეგმილი ორგანიზაციული სტრუქტურის, მისი აკადემიური ერთეულების, მართვის მექანიზმებისა და ჯანდაცვის ორივე პროგრამას შორის სასწავლო და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობების განაწილების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა ეს საკითხი მნიშვნელოვნად მიიჩნია, ვინაიდან შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურა შესაძლოა ახალი პროგრამის განვითარების მყარ საფუძვლად იქცეს. მიუხედავად ამისა, ბოროშის განმარტებით, ამ ეტაპზე მკაფიოდ არ იყო აღწერილი, როგორ იმუშავებდნენ პროგრამები პარალელურად და როგორ მოხდებოდა მათი საქმიანობის ურთიერთშეთანხმება იმ შემთხვევებში, როდესაც მათი რესურსები ან საქმიანობის სფეროები ერთმანეთს ემთხვევა. ასევე გაურკვეველი იყო, როგორ განაწილდებოდა პერსონალი, სასწავლო სივრცეები, ლაბორატორიები, სიმულაციური სწავლების რესურსები და ადმინისტრაციული მომსახურება ორ პროგრამას შორის.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული საკითხი კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემასაც უკავშირდებოდა. კერძოდ, სილაბუსების არაერთ ნაწილში აღწერილი იყო საექთნო პროგრამისთვის დამახასიათებელი მიზნები და შინაარსი და არა სამედიცინო პროგრამის შესაბამისი კომპეტენციები. მაგალითად, ოფთალმოლოგიის, შინაგანი მედიცინისა და ქირურგიის სასწავლო კურსებში კურსის მიზნად ან შესასწავლ საგნად საექთნო საქმიანობა იყო წარმოდგენილი.

ამ გარემოების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი რეკომენდაცია სილაბუსების სრულად გადახედვას გულისხმობდა შესაბამისი კომიტეტის ხელმძღვანელობით, რათა აღმოფხვრილიყო გამოვლენილი ხარვეზები და სასწავლო კურსების შინაარსი სამედიცინო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოსულიყო.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი სწავლის შედეგებს, სასწავლო გეგმის სტრუქტურასა და შეფასების სისტემას შორის კავშირს შეეხებოდა. ბოროშის ინფორმაციით, პროგრამაში განსაზღვრული იყო 16 სწავლის შედეგი და აღწერილი იყო შეფასების მეთოდების ფართო სპექტრი. თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სათანადოდ არ ასახავდა, როგორ ხდებოდა თითოეული კომპეტენციის ეტაპობრივი გაღრმავება და შეფასება ექვსწლიანი სასწავლო პროცესის განმავლობაში. ექსპერტის განმარტებით, სწავლის რამდენიმე შედეგისთვის საჭირო იყო უფრო მკაფიო და გაზომვადი შესრულების კრიტერიუმების განსაზღვრა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას შეფასების ყოვლისმომცველი სქემის შემუშავება ურჩია. აღნიშნული სქემა ერთმანეთთან უნდა აკავშირებდეს პროგრამის სწავლის შედეგებს, სწავლების აქტივობებს, შეფასების მეთოდებს, მოსალოდნელ შესრულების სტანდარტებსა და სტუდენტის პროგრესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს. ბოროშმა მაგალითად მოიყვანა მეშვიდე სემესტრის ქირურგიის პირველი სასწავლო კურსი, რომელშიც სწავლის ერთ-ერთ შედეგად განსაზღვრული იყო, რომ სტუდენტს დამოუკიდებლად შეეძლო პრობლემების გადაჭრა და გადაწყვეტილებების მიღება. თუმცა ზოგიერთი სხვა შედეგი, მათ შორის, ინსტრუმენტების გამოყენებასთან, ინფექციის კონტროლის პროტოკოლების დაცვასთან, ინსტრუმენტების უსაფრთხო და ეფექტიან გამოყენებასთან და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული კომპეტენციები, გარკვეულწილად ემთხვეოდა საექთნო პერსონალის ან საოპერაციო ბლოკის ტექნიკური პერსონალის კომპეტენციებს. აქედან გამომდინარე, ექსპერტის აზრით, აუცილებელი იყო, სწავლის შედეგებს მკაფიოდ აესახა მომავალი ექიმის პროფესიული როლი და კომპეტენციები.

პროგრამის მდგრადობის საკითხზე საუბრისას ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად 20 სტუდენტის მიღებას გეგმავდა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტუდენტთა ასეთი მცირე ნაკადი გარკვეულ საკითხებზე დამატებით ყურადღებას საჭიროებდა. მისი განმარტებით, სტუდენტთა მცირე ჯგუფს, რა თქმა უნდა, აქვს უპირატესობები, მათ შორის, სტუდენტებზე ინდივიდუალური ყურადღების გამახვილებისა და

სტუდენტებსა და ტუტორებს შორის ხელსაყრელი თანაფარდობის უზრუნველყოფის მეტი შესაძლებლობა. ამასთან, სტუდენტთა მცირე ნაკადმა შესაძლოა გარკვეული რისკები შექმნას ფინანსური მდგრადობის, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობისა და პროგრამის შეუფერხებელი განხორციელების თვალსაზრისით. საილუსტრაციოდ, ბოროშმა მოიყვანა სტუდენტთა 10%-იანი გადინების შემთხვევა 100 სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფში, რაც მნიშვნელოვან პრობლემას არ შექმნიდა. თუმცა, მისი განმარტებით, როდესაც სტუდენტთა საწყისი რაოდენობა მხოლოდ 20-ია, მათი რაოდენობის შემცირებამ შესაძლოა გაცილებით მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პროგრამის განხორციელებაზე. ამ შესაძლო რისკების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტს საგანგებო სამოქმედო გეგმის ალტერნატიული, ე.წ. „B გეგმის“ - შემუშავება ურჩია, რომელიც რისკების მართვას უზრუნველყოფდა.

კიდევ ერთი საკითხი სასწავლო გეგმის პრაქტიკულ განხორციელებას უკავშირდებოდა. ბოროშის განმარტებით, უნივერსიტეტი თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გამოყენებას გეგმავდა, მათ შორის, სიმულაციაზე დაფუძნებულ სწავლებასა და სამუშაო ადგილზე განხორციელებულ შეფასებას. თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები საკმარისად ნათლად არ აჩვენებდა, როგორ განხორციელდებოდა აღნიშნული მიდგომები პრაქტიკაში.

უნივერსიტეტს ასევე ჩატარებული ჰქონდა საერთაშორისო შედარებითი ანალიზი და საჭიროებების შეფასება. შრომის ბაზრის ანალიზი წარმოდგენილი იყო როგორც თვითშეფასების ანგარიშში, ისე ცალკე დანართის სახით. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფისთვის ბოლომდე ნათელი არ გახდა, რით გამოირჩეოდა აღნიშნული პროგრამა საქართველოში ან საერთაშორისო დონეზე არსებული მსგავსი სამედიცინო პროგრამებისგან. ექსპერტის ინფორმაციით, თვითშეფასების ანგარიშში ამ საკითხთან დაკავშირებით მითითებული იყო შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომიც, რომელშიც განხილული იყო თანამედროვე ქართული საგანმანათლებლო სისტემის პრობლემები. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მსგავსი გარე შეფასებები და მოსაზრებები სათანადოდ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

შეჯამებისას, ბოროშმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილ ახალ სამედიცინო პროგრამას ჰქონდა სარწმუნო საგანმანათლებლო საფუძველი და რამდენიმე პერსპექტიული მახასიათებელი, თუმცა საჭიროებდა რიგი მნიშვნელოვანი ასპექტების შემდგომ განვითარებას. რეკომენდაციების მიზანი იყო, პროგრამა არა მხოლოდ აკადემიურად გამართულად ყოფილიყო დაგეგმილი, არამედ პრაქტიკაშიც უზრუნველეყო მომავალი ქართველი ექიმებისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარება, შეფასება და შენარჩუნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თამარ ხურცილავამ, აღნიშნა, რომ პროგრამა ოთხ ფაზად იყო დაყოფილი: საბაზისო, პრეკლინიკურ, კლინიკურ და კლინიკური პრაქტიკისა და კვლევის ფაზებად. ბოლო ფაზა ითვალისწინებს სტუდენტების მიერ სხვადასხვა დაწესებულებაში გარკვეული პროცედურების განხორციელებას პაციენტების თანხმობის საფუძველზე. მას აინტერესებდა, რა მონაცემები არსებობდა პაციენტების მხრიდან სტუდენტთა ჩართულობის მიმართ შესაძლო წინააღმდეგობების შესაფასებლად. ასევე, დაინტერესდა კლინიკური სწავლების ლოჯისტიკური საკითხებით, კერძოდ, 20 სტუდენტიდან რამდენი იქნებოდა ჩართული კლინიკურ სწავლებაში და რამდენი სტუდენტი იქნებოდა დაშვებული თითოეულ პაციენტთან. ამასთან, პროგრამაში მითითებული იყო, რომ სტუდენტი პაციენტსა და მის ოჯახს კონსულტაციას გაუწევს საერთაშორისო ენაზე, მათ შორის, ქართულადაც. ვინაიდან პროგრამა ინგლისურენოვანია, საბჭოს წევრი დაინტერესდა, აღნიშნულ საქმიანობაში მხოლოდ ქართველი სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას თუ უცხოელი სტუდენტებიც.

დაწესებულების წარმომადგენლის, თამარ შარაშიძის, განმარტებით, ვიზიტის დროს უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს არაერთი მემორანდუმი წარუდგინა. მისივე ინფორმაციით, უნივერსიტეტს მრავალ კლინიკასთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლებშიც დეტალურადაა განსაზღვრული თითოეულ დაწესებულებაში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა. სტუდენტთა რაოდენობა საგნის სპეციფიკის მიხედვით 6-დან 10-მდე მერყეობს, ხოლო შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა თავად კლინიკას ევალება. უცხოელი სტუდენტების მიერ პაციენტების კონსულტირების საკითხთან დაკავშირებით თამარ შარაშიძემ აღნიშნა, რომ არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ამ მხრივ პრეტენზია არავის გამოუთქვამს. თუმცა, გარკვეული პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა კლინიკასთან სხვა საგნის ფარგლებში დამატებითი ხელშეკრულების გაფორმება. მან ასევე განმარტა, რომ უცხოენოვანი სტუდენტები კლინიკურ სწავლებაში ჩართვამდე ქართულ ენას საბაზისო დონეზე დაეუფლონ, რასაც უნივერსიტეტი შესაბამისი სასწავლო კურსის მეშვეობით უზრუნველყოფს.

დაწესებულების წარმომადგენლის, ოთარ აბულაძის, განცხადებით, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, პაციენტებზე მანიპულაციების განხორციელებისას სტუდენტების ჩართულობა პრობლემას არ შექმნიდა. ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ უცხოელი სტუდენტებისთვის ქართული ენის შემსწავლელი კურსი პირველივე სემესტრიდან არის გათვალისწინებული. აღნიშნულ კომპონენტს 16 კრედიტი ეთმობა, რომელიც ოთხ სემესტრზე ნაწილდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანჟელა აბულაძემ, განმარტა, რომ უცხოელ სტუდენტებს ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობა აქვთ, ხოლო ქართველ სტუდენტებს გერმანული ენის კურსი აქვთ შეთავაზებული, ასევე 16 კრედიტის მოცულობით. მისი თქმით, გერმანული ენის არჩევა განპირობებულია იმით, რომ საერთაშორისო სამედიცინო ბაზარზე ამ ენის ცოდნა ხელს უწყობს სტუდენტების კომპეტენციების განვითარებასა და მათი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას.

საბჭოს წევრმა, თამარ ხურცილავამ, დაწესებულებას მიმართა კითხვით, რა მექანიზმი იყო გათვალისწინებული იმ შემთხვევისთვის, თუ სტუდენტი მეხუთე სემესტრში ინგლისური ენის B2 დონის ცოდნას ვერ დაადასტურებდა. კერძოდ, დაინტერესდა, ექნებოდა თუ არა სტუდენტს გამოცდის ხელახლა ჩაბარების შესაძლებლობა ან შესთავაზებდა თუ არა დაწესებულება დამატებით მხარდაჭერას ენობრივი კომპეტენციის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულების წარმომადგენლის, ანჟელა აბულაძის, განმარტებით, სტუდენტებს გამოცდის ხელახლა ჩაბარების შესაძლებლობა აქვთ. ამასთან, დაწესებულება მათ ენობრივი უნარების გასაუმჯობესებლად დამატებით მეცადინეობებს სთავაზობს.

საბჭოს წევრმა, თინათინ გოგნაძემ, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სტუდენტმა ინგლისური ენის B2 დონის ცოდნა მეხუთე სემესტრში უნდა დაადასტუროს, მაშინ როდესაც პროგრამაზე დაშვების წინაპირობა B1 დონეა. მას აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა სტუდენტი სასწავლო მასალის ათვისებას იმ შემთხვევაში, თუ მეხუთე სემესტრში B2 დონის ცოდნას ვერ დაადასტურებდა.

დაწესებულების წარმომადგენლის, ანჟელა აბულაძის, განმარტებით, პროგრამა ქართველ სტუდენტებზეც არის გათვლილი, ხოლო ერთიანი ეროვნული გამოცდებით განსაზღვრული ენობრივი კომპეტენცია B1 დონეს შეესაბამება. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების მოთხოვნა დადგენილ სტანდარტს შეესაბამება, ხოლო აღნიშნული დონის ცოდნა სტუდენტს პირველი ოთხი სემესტრის განმავლობაში სწავლის გასაგრძელებლად საკმარის საფუძველს აძლევს.

საბჭოს წევრი, თინათინ გოგნაძე, ასევე დაინტერესდა, რას გულისხმობდა ადრეულ ეტაპზე კლინიკური სწავლება, ვინაიდან პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ სწორედ ეს კომპონენტი იყო წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენლის, ოთარ აბულაძის, განმარტებით, სტუდენტები კლინიკურ სწავლებას ადრეული პერიოდიდანვე ეცნობიან. თუმცა, როგორც მან აღნიშნა, ეს არ გულისხმობს პირველივე სემესტრში მოუმზადებელი სტუდენტების კლინიკებში გაგზავნას.

მისი განმარტებით, მნიშვნელოვანია, სტუდენტები სწავლის ადრეული ეტაპიდანვე გაეცნონ კლინიკური სწავლების სპეციფიკას, რათა ინსტრუმენტებთან მუშაობის მიმართ შიში არ ჩამოუყალიბდეთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კოკა გოგიჩაიშვილმა, განმარტა, რომ დანერგილი სისტემა სტუდენტებს პირველივე სემესტრიდან აძლევს შესაძლებლობას, რადიოლოგიური სურათებისა და მსგავსი საბაზისო საშუალებების გამოყენებით გაეცნონ კლინიკური სწავლების თავისებურებებს. მისი თქმით, აღნიშნული პროცესი სიმულაციურ ცენტრში ხორციელდება და არ გულისხმობს სტუდენტების პირველივე სემესტრში კლინიკაში გაგზავნას.

საბჭოს წევრი მარიამ ხოფერია დაინტერესდა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ჯანდაცვის მეცნიერებათა სკოლას დამოუკიდებელი მისია აქვს. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამებოდა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ პრიორიტეტებს. თუმცა, დოკუმენტში ასევე ხაზგასმული იყო, რომ სკოლის მკაფიოდ განსაზღვრული მისია მის იდენტობასა და ხილვადობას გააძლიერებდა. მარიამ ხოფერიას აინტერესებდა, შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი რეკომენდაციის სახით ხომ არ უნდა ჩამოყალიბებულიყო, მაშინ როდესაც ის რჩევების ნაწილში იყო წარმოდგენილი. მან ასევე განიხილა 2.2 კომპონენტთან დაკავშირებული საკითხი, რომლის მიხედვითაც რეკომენდებული იყო ინოვაციური სწავლების მეთოდების, მათ შორის, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) და სემინარების გამოყენების დეტალური აღწერა როგორც პრეკლინიკურ, ისე კლინიკურ სასწავლო კურსებში. იგი დაინტერესდა, რატომ იყო OSCE, რომელიც შეფასების მეთოდს წარმოადგენს, სწავლა-სწავლების კომპონენტში მითითებული.

აკრედიტაციის ექსპერტის, თამარ გოდერიძის, განმარტებით, რჩევებისა და რეკომენდაციების გამიჯვნა საკითხის შინაარსის მიხედვით ხდება და მხოლოდ ერთი სიტყვის გამოყენება ვერ განსაზღვრავს, კონკრეტული ჩანაწერი რეკომენდაცია უნდა იყოს თუ რჩევა. რაც შეეხება OSCE-ს, მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც შეფასების, ისე სწავლების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტისთვის OSCE-ს სიმულაციურ გარემოში მონაწილეობა მხოლოდ საგამოცდო ეტაპზე არ იყოს პირველი გამოცდილება.

საბჭოს წევრმა, მარიამ ხოფერიამ, დაწესებულებას მიმართა კითხვით, რამდენი კრედიტი იყო პროგრამით ჯამურად გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტისთვის და შეესაბამებოდა თუ არა აღნიშნული მოცულობა დარგობრივ მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენლის, სალომე პირველის, განცხადებით, ექსპერტებს რეკომენდაციის სახით ჰქონდათ მითითებული, რომ ჯანდაცვის მეცნიერებათა სკოლას საკუთარი მისია უნდა ჰქონოდეს. დაწესებულებამ მიუთითა შესაბამის მუხლსა და პუნქტზე, რომლებიც სკოლის მისიის არსებობას ადასტურებდა. მიუხედავად ამისა, ექსპერტებმა აღნიშნული გარემოება არ გაითვალისწინეს და რეკომენდაცია ძალაში დატოვეს. სალომე პირველის შეფასებით, დაწესებულებას ამ საკითხის შეცვლა აკრედიტაციის სტანდარტის გათვალისწინებით არ შეეძლო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანჟელა აბულაძემ, განმარტა, რომ პროგრამაში დარგობრივი მოთხოვნები გათვალისწინებული იყო, ხოლო კვლევით კომპონენტს 22 კრედიტი ეთმობა.

დაწესებულების წარმომადგენლის, ოთარ აბულაძის, ინფორმაციით, კვლევითი კომპონენტისთვის დარგობრივი მოთხოვნების შესაბამისად 22 კრედიტია გათვალისწინებული. აკადემიური წერის სწავლება პირველივე სემესტრიდან იწყება, რასაც მოსდევს სასწავლო კურსები „კვლევა მედიცინაში 1“, „კვლევა მედიცინაში 2“ და „კვლევა მედიცინაში 3“. აღნიშნული კომპონენტის საბოლოო მიზანი სტუდენტისთვის კვლევითი პროექტის მომზადების უნარის განვითარებაა. მეექვსე კურსის სტუდენტს კი 8-კრედიტიანი კვლევითი პროექტის შესრულება ევალება.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ლომაურმა, აღნიშნა, რომ პროგრამაზე სტუდენტთა კვოტა 20-ით არის განსაზღვრული. მას აინტერესებდა, არსებობდა თუ არა წინასწარ გაწერილი გეგმა ადამიანური

რესურსების ან სხვა მსგავსი პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში. ვინაიდან კლინიკურ სწავლებაში ძირითადად კლინიკების პერსონალი იყო ჩართული, იგი ასევე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შემუშავებული ერთიანი სტრუქტურა პერსონალის მომზადებისა და ტრენინგების ორგანიზებისთვის. გარდა ამისა, ხათუნა ლომაურმა კითხვა დასვა კლინიკური მედიცინისა და ინფექციური დაავადებების სასწავლო კურსებში დამოუკიდებელი მუშაობისთვის გათვალისწინებული 95-დან 135 საათამდე მოცულობის შესახებ და დაინტერესდა, რა მექანიზმები უზრუნველყოფდა ამ დროის ეფექტიან გამოყენებას. მან ასევე მიუთითა, რომ ინტენსიური თერაპია მეთორმეტე სემესტრში იყო გათვალისწინებული, მიუხედავად იმისა, რომ იგი მნიშვნელოვანი სასწავლო საგანია და მისი შეფასება წერითი კომპონენტით ხორციელდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სალომე პირველმა, განმარტა, რომ უნივერსიტეტი მცირე ზომის დაწესებულებაა და მას ჯამში 300 სტუდენტური ადგილის კვოტა აქვს მინიჭებული, რომლის შეცვლაც შეუძლებელია. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით განისაზღვრა აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების რაოდენობა. მისი შეფასებით, ეს გარემოება ეჭვის საფუძველი არ უნდა გამხდარიყო, რადგან უნივერსიტეტს კიდევ 13 საგანმანათლებლო პროგრამა აქვს, რაც შემოსავლების დივერსიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. რაც შეეხება მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებს, მისი განმარტებით, ყველა შესაბამის დოკუმენტში განსაზღვრულია სტუდენტთა რაოდენობა. შესაბამისად, 20 სტუდენტისთვის კლინიკური სწავლების სათანადო გარემო უზრუნველყოფილი იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის, ოთარ აბულაძის, შეფასებით, პროგრამაზე 20 სტუდენტის მიღება მისი ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. სტუდენტების სწავლებაში 71 პერსონალია ჩართული, რაც, მისი თქმით, პროგრამას სხვა დაწესებულებების ანალოგიური პროგრამებისგან განასხვავებს. კლინიკურ სწავლებაში ჩართული ლექტორების მომზადებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ სტუდენტების კლინიკებში გაგზავნა მესამე კურსიდან გახდებოდა საჭირო. უნივერსიტეტს უკვე დაწყებული ჰქონდა მოსამზადებელი კურსების ორგანიზება. ლექტორებისთვის ჩატარდა რამდენიმე კურსი, მათ შორის, სწავლების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ. ამასთან, თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ლექტორებთან ინდივიდუალურად განიხილებოდა, იმის გათვალისწინებით, თუ რომელი კურსის განხორციელება დაევალებოდათ მათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ შარაშენიძემ, მიმოიხილა საექთნო და სამედიცინო მიმართულებების გამიჯვნასთან დაკავშირებით ექსპერტთა შენიშვნები. მისი განმარტებით, ორივე პროგრამას განსხვავებული ხელმძღვანელი ჰყავს, ხოლო ადამიანური რესურსების თვალსაზრისით გადაფარვა მხოლოდ 9%-ს შეადგენს. აღნიშნული გადაფარვა განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოში იშვიათია ბაკალავრიატის სტუდენტების სწავლების გამოცდილების მქონე კვალიფიციური ექთანი ლექტორების არსებობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სალომე პირველმა, აღნიშნა, რომ პროგრამაზე მუშაობდა პროგრამის განმავითარებელი ჯგუფი, რომელშიც ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყო ჩართული. შესაბამისად, ჯგუფის წევრები ინფორმირებულნი იყვნენ სასწავლო კურსებისა და მათი განხორციელების შესახებ და ამ მხრივ პრობლემა არ არსებობდა.

მოწვეულმა საბჭოს წევრმა, ირმა მანჯავიძემ, რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით დასვა კითხვები. პირველ რიგში, იგი დაინტერესდა, რით განსხვავდებოდა აღნიშნული პროგრამა სხვა სამედიცინო პროგრამებისგან და რატომ იყო სილაბუსებში არაერთხელ ნახსენები საექთნო პროგრამა. ამასთან, დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების რაოდენობა 14 იყო, ხოლო წარმოდგენილ პროგრამაში 16 შედეგი იყო მითითებული. საბჭოს წევრს აინტერესებდა, რა დამატებითი შედეგები შეიმუშავა დაწესებულებამ და რა საფუძვლით მოხდა მათი დამატება. მისი მოსაზრებით, სწავლის შედეგებში დამოუკიდებლად შესრულების კომპეტენციის მითითება კურსდამთავრებულისთვისაც საჭიროებდა დაზუსტებას, ხოლო მეშვიდე სემესტრის სტუდენტისთვის აღნიშნული მოთხოვნა შესაძლოა არარელევანტური ყოფილიყო. გარდა ამისა, მან იკითხა, რა ბიუჯეტი იყო გამოყოფილი კვლევითი საქმიანობისა

და სიმულაციური ცენტრის განახლებისთვის. მან ასევე დააზუსტა, რომ პროგრამაში მითითებული იყო 32 აკადემიური და 39 მოწვეული პერსონალი, ჯამში 71 პირი, და არა მხოლოდ აკადემიური პერსონალი, როგორც მანამდე აღინიშნა. შესაბამისად, იგი დაინტერესდა, როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება ყველა მათგანის პროფესიულ განვითარებას.

დაწესებულების წარმომადგენლის, ოთარ აბულაძის, განმარტებით, დაწესებულების მთავარი მიზანია სტუდენტებისთვის მიმზიდველი პროგრამის შექმნა, რომელიც კვალიფიციურ კადრებს მოამზადებს. პროგრამის ერთ-ერთ განმასხვავებელ მახასიათებელს წარმოადგენს კლინიკურ სწავლებასთან ადრეული დაახლოება საბაზისო და სიმულაციური მეთოდების გამოყენებით. მისივე თქმით, პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია კვლევითი საქმიანობაც, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უნდა შეეძლოს პაციენტის მდგომარეობის შეფასება. ეს კი არ გულისხმობს ზედამხედველის გარეშე დამოუკიდებლად მუშაობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სალომე პირველმა, დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას სიმულაციური სწავლებისთვის საჭირო ხარჯები გათვალისწინებული ჰქონდა. კერძოდ, მანეკენების, მულაჟებისა და სამედიცინო დანადგარების შესაძენად 120 000 ლარი იყო გამოყოფილი. რაც შეეხება საექთნო მიმართულების სილაბუსებში მოხსენიებას, მისი განმარტებით, სავარაუდოდ, საქმე თარგმნისას დაშვებულ ტექნიკურ ხარვეზს ეხებოდა, რადგან ქართულ სილაბუსებში ასეთი ჩანაწერები არ იყო წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანჟელა აბულაძემ, პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ თავდაპირველად დაწესებულება იკვლევს, რა მიმართულებით სურთ თანამშრომლებს კომპეტენციების გაუმჯობესება, რის საფუძველზეც იგეგმება და ტარდება შესაბამისი ტრენინგები. მისი თქმით, აღნიშნული პროცესი სისტემატურ ხასიათს ატარებს.

საბჭოს წევრმა, თეა ნარეკლიშვილმა, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პროგრამა ინგლისურენოვანია და, შესაბამისად, ინგლისურენოვან სილაბუსებში ხარვეზები არ უნდა ყოფილიყო. მისი განმარტებით, სწავლის მეექვსე და მეშვიდე შედეგებში მითითებულია, რომ სტუდენტი სამედიცინო პრაქტიკულ პროცედურებს სიმულატორებზე დამოუკიდებლად, ხოლო პაციენტებზე ზედამხედველობით განახორციელებს. ამასთან, მეექვსე შედეგში აღნიშნული იყო სამკურნალო საშუალებების გამოწერისა და კლინიკური მედიკამენტოზური თერაპიის ჩატარების კომპეტენციაც. იგი დაინტერესდა, რამდენად შეესაბამებოდა აღნიშნული საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელება სტუდენტის კომპეტენციებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ავთო აბულაძემ, განმარტა, რომ სტუდენტის მიერ მედიკამენტოზური თერაპიის ჩატარება არ გულისხმობს მედიკამენტის დამოუკიდებლად შერჩევას ან მკურნალობის დანიშვნას. მისი თქმით, პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მედიკოსის კვალიფიკაცია, რომელიც უმცროსი ექიმის კომპეტენციებს მოიცავს. ამასთან, მას ექიმის მეთვალყურეობის გარეშე უნდა შეეძლოს მედიკამენტის გამოწერა.

მოწვეული საბჭოს წევრი, ირინე ფხაკაძე, დაინტერესდა, როგორ დაადასტურებდა პროგრამა კურსდამთავრებულთა უნარს, ამოეცნოთ საკუთარი კომპეტენციის საზღვრები, დროულად მოეთხოვათ დახმარება და ემოქმედათ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში. მან ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის „შინაგანი მედიცინა 5“ სილაბუსი ძირითადად კლინიკურ ფარმაციასა და ტოქსიკოლოგიას ეხება და იკითხა, როგორ უნდა შეფასებულიყო შესაბამისი უნარები და როგორ განისაზღვრებოდა ზედამხედველობის დონე. გარდა ამისა, იგი დაინტერესდა, მეხუთედან მეთორმეტე სემესტრის ჩათვლით ვინ და რა პერიოდულობით შეაფასებდა სტუდენტების ეთიკურ ქცევას, გუნდური მუშაობის უნარებსა და საკუთარი შესაძლებლობების საზღვრების გაცნობიერებას. მისი განმარტებით, პირველიდან მეხუთე სემესტრის ჩათვლით შესაბამისი სასწავლო კურსები იყო წარმოდგენილი, თუმცა შემდგომ ეტაპებზე აღნიშნული კომპეტენციების შეფასების მექანიზმები მკაფიოდ არ იკვეთებოდა.

ტრენინგებთან დაკავშირებით მან დამატებით იკითხა, შეფასდება თუ არა მათი შინაარსი და ეფექტიანობა და როგორ მოხდება გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინება.
დაწესებულების წარმომადგენლის, ოთარ აბულაძის, განცხადებით, პროგრამა ინტეგრირებული სწავლების მიდგომით გამოირჩევა და სტუდენტები კლინიკურ სწავლებას ადრეული პერიოდიდანვე ეცნობენ. მისი განმარტებით, სტუდენტები თავიდანვე შეისწავლიან პროფესიონალიზმს, ეთიკურ ქცევასა და კოლეგებთან სათანადო ურთიერთობას. მომდევნო სემესტრებში სასწავლო პროცესში პრაქტიკოსი ექიმებიც ჩაერთვებიან, რაც სტუდენტების საქმიანობაზე დაკვირვებისა და მათი კომპეტენციების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ანჟელა აბულაძემ, განმარტა, რომ სამედიცინო პროგრამა ახალია, თუმცა მოქმედ პროგრამებში აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემა უკვე დანერგილი აქვთ. აკადემიური პერსონალი წლის განმავლობაში დაგროვილი ქულების მიხედვით ფასდება. უნივერსიტეტი თანამშრომლებს აკადემიურ საქმიანობაში, მათ შორის, სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებასა და კონფერენციებში მონაწილეობაში, ხელს უწყობს. წლის ბოლოს მიღებული შედეგების მიხედვით პერსონალი ჯილდოვდება პირველი, მეორე და მესამე საპრიზო ადგილების შესაბამისად. ამასთან, თითოეული აკადემიური პერსონალი წარადგენს თვითშეფასების ანგარიშს, რომელშიც წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობებია ასახული.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სალომე პირველმა, განმარტა, რომ რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის განმასხვავებელი მახასიათებლების განსაზღვრა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან დაწესებულებას არ ჰქონდა შესაძლებლობა, სავალდებულო დოკუმენტებით დადგენილი მოთხოვნებიდან გადაეხვია.
საბჭოს წევრმა, თინათინ გოგნაძემ, აღნიშნა, რომ პროგრამაში მითითებული იყო 31 აკადემიური, 39 მოწვეული და 17 აფილირებული პერსონალი. მათი CV-ების შესწავლის შედეგად კი გამოვლინდა, რომ ზოგიერთ მათგანს სამედიცინო სფეროსთან შეხება საერთოდ არ ჰქონდა. მან ასევე აღნიშნა, რომ პერსონალის ნაწილს არ ჰქონდა PHD, თუმცა ისინი ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის პოზიციებზე არიან დასაქმებული.
დაწესებულების წარმომადგენლის, ანჟელა აბულაძის, განმარტებით, პროგრამა ითვალისწინებდა თავისუფალ კომპონენტს, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიც იყო ჩართული. სწორედ ამ გარემოებით აიხსნებოდა მათი აკადემიური სტატუსი. მან ასევე აღნიშნა, რომ ასოცირებულ აკადემიურ პერსონალს მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება უნდა ჰქონოდა. პროგრამაში ამ კატეგორიით მოაზრებული პირები კი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენდნენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ შარაშენიძემ, დამატებით განმარტა, რომ დოკუმენტაციაში აღნიშნული პერსონალი პროფესიული ნიშნით არჩეულ პირებს წარმოადგენდნენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:36
დასრულების დრო: 16:01

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის "მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2027 წლის 31 დეკემბრამდე და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 სტუდენტით განსაზღვრის საკითხი.

აკრედიტაციის საბჭოს კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის მოწვეული საბჭოს კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, მე-3, მე-5 და მე-7 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2} -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5} -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა, მე-3^{3} და მე-5 პუნქტების, 27^{6} -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის "მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2027 წლის 31 დეკემბრამდე და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს განსაზღვრული რჩევები.

დაწესებულებას დაევალა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულება და თვითშეფასების ანგარიშში ასახვა შესაბამის ვადაში სააკრედიტაციო განაცხადის ცენტრში წარმოდგენის დროს.

საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2026 წლის 20 ოქტომბერს.

მეორე საკითხი: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: დიპლომირებული მედიკოსი
საფეხური: მედიცინის ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს კოდი: 0912 მედიცინა
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტი: 360
სტატუსი: ახალი
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა თამარ მერაბიშვილმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა ვალერიან გობრონიძემ და თეიმურაზ გოლეთიანმა. საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ საბჭოს წევრები ინგა დიასამიძე და დოდონა ახვლედიანი.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტმა, დრაგან ჰრნიჩმა, აღნიშნა, რომ არ განავრცობდა დასკვნაში უკვე ასახულ მიგნებებსა და დასკვნებს, რომლებიც საბჭოს წევრებისა და დაწესებულების წარმომადგენლებისთვის უკვე ცნობილი იყო. მისი განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც, ძირითადად, სრულყოფილი იყო. ასევე ჩატარდა ორი მოსამზადებელი ონლაინშეხვედრა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის და განხორციელდა უნივერსიტეტში ადგილზე ვიზიტი. მისი განცხადებით, ადგილზე ვიზიტისას ნანახით ჯგუფი, ძირითადად, კმაყოფილი დარჩა. დადებითად შეფასდა უნივერსიტეტთან აფილირებული კლინიკები და კამპუსის ინფრასტრუქტურა, მათ შორის, ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, სიმულაციური ცენტრები და აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებული აუცილებელი აღჭურვილობა. ექსპერტის შეფასებით, საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მხარს უჭერდა აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციას. მისი განმარტებით, რეკომენდაციები მოცულობითი არ იყო და მათი ნაწილი პროგრამის ამოქმედების შემდგომ გასათვალისწინებელ საკითხებს უკავშირდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თინათინ გოგნაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, უნივერსიტეტს ჰქონდა 10-სადგურიანი OSCE-ს სივრცე, საიდანაც ორი სადგური ვირტუალური იყო. მას აინტერესებდა, რა დანიშნულება ჰქონდა ვირტუალურ სადგურებს და როგორ გამოიყენებოდა ისინი შეფასების პროცესში.
დაწესებულების წარმომადგენლის, სოფო კიკალეიშვილის, განმარტებით, OSCE-ს შეფასების კომპონენტები პროგრამაში დეტალურად იყო გაწერილი. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოიყენებოდა ადგილზე შეფასების სტრუქტურირებული ფორმა, ხოლო ორი ვირტუალური სადგური თეორიული ცოდნის შეფასებისთვის იყო განკუთვნილი.

საბჭოს წევრი, მარიამ ხოფერია, დაინტერესდა პროგრამაში მითითებული 71 თანამშრომლის სტატუსით, კერძოდ, რამდენი მათგანი იყო ჯიუსთან აფილირებული და რამდენი სამეცნიერო პუბლიკაცია ჰქონდა პერსონალს. მან ასევე იკითხა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას აფილირებული კლინიკები.

დაწესებულების წარმომადგენლის, მარიამ დარბაიძის, განმარტებით, უნივერსიტეტში შერჩეული იყო 71 თანამშრომელი - 36 აკადემიური და 35 მოწვეული პერსონალი. რაც შეეხება სამეცნიერო ნაშრომებს, შესაბამისი ინფორმაცია და ნაშრომების რაოდენობის შესახებ მონაცემები აკრედიტაციის განაცხადის დანართებში იყო წარმოდგენილი. მისივე განმარტებით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა კვლევის მხარდაჭერის ცენტრი, რომელიც აქტიურად მუშაობდა პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით, მათ შორის, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე. აფილირებულ კლინიკასთან დაკავშირებით კი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა "კანის" კლინიკასთან.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ლომაურმა, ყურადღება გაამახვილა სასწავლო კურსის „შინაგანი მედიცინა 4“ სილაბუსზე, რომელშიც საკონტაქტო საათების რაოდენობად 205 საათი იყო მითითებული. მას აინტერესებდა, როგორ იქნებოდა უზრუნველყოფილი კლინიკებში აღნიშნული საათების სრულად განხორციელება.

დაწესებულების წარმომადგენლის, მარიამ დარბაიძის, განმარტებით, უნივერსიტეტს მემორანდუმი აქვს გაფორმებული დიდ ორგანიზაცია „დეანთან“, რომელიც მრავალ კლინიკას აერთიანებს. კლინიკებთან თანამშრომლობისას ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო სასწავლო კურსით გათვალისწინებული საათების სრულად დაფარვა. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ამოქმედების შემდეგ დაწესებულება აღნიშნული საკითხის მონიტორინგს განახორციელებს.

მოწვეულმა საბჭოს წევრმა, ირინე ფხაკაძემ, აღნიშნა, რომ პროგრამა კვლევითი უნარების განვითარებისთვის რამდენიმე სასწავლო კურსს ითვალისწინებს. მას აინტერესებდა, როგორ განვითარდება სტუდენტების კვლევითი უნარები პროგრამის განმავლობაში, რა ეტაპებს გაივლიან ისინი ამ უნარების გამოსამუშავებლად და როგორ შეფასდება თითოეული ეტაპი. მეორე შეკითხვა პროფესიული ქცევის შეფასებას შეეხებოდა. ვინაიდან სილაბუსების მიხედვით, პროფესიული ქცევის შეფასება ერთჯერადად ხორციელდებოდა, საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად საკმარისად მიიჩნევდა დაწესებულება შეფასების ასეთ მიდგომას და როგორ უზრუნველყოფდა პროფესიული ქცევის ჩამოყალიბებას, შეფასებასა და დოკუმენტირებას.

დაწესებულების წარმომადგენლის, სოფო კიკალეიშვილის, განმარტებით, პროგრამა მსოფლიო სამედიცინო განათლების ფედერაციის (WFME) საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით შემუშავდა, ხოლო ცოდნისა და უნარების განვითარება ეტაპობრივად განხორციელდება. სწავლება სამ ეტაპს მოიცავს: კლინიკურს, პრეკლინიკურსა და შერეულს. პროგრამა ვერტიკალურადაც და ჰორიზონტალურადაც ინტეგრირებულია, რაც შესაბამისი კომპონენტების თანდათანობით გაღრმავებას უზრუნველყოფს. მისივე განმარტებით, პროფესიონალიზმის საკითხები სამივე ეტაპზეა ინტეგრირებული, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეფასება ოფიციალურად გაწერილი ჩეკლისტების მეშვეობით განხორციელდება. რაც შეეხება კვლევითი უნარების განვითარებას, პროგრამა რამდენიმე სასწავლო კურსს მოიცავს, რომლებიც სტუდენტებში აღნიშნული უნარების ეტაპობრივად ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ დარბაიძემ, დამატებით განმარტა, რომ კვლევითი უნარების განვითარება აკადემიური წერით იწყება და შემდგომ კვლევის შესავალი მეთოდების, ეთიმოლოგიური და ბიოკვლევითი კომპონენტების შესწავლით გრძელდება, საბოლოოდ კი მტკიცებითი მედიცინის შესწავლით სრულდება. მისი თქმით, თითოეული აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები კვლევითი პროცესის შესაბამის ეტაპებს გაივლიან.

მოწვეულმა საბჭოს წევრმა, ირმა მანჯავიძემ, ყურადღება გაამახვილა ინგლისურენოვან პროგრამაზე მოწვეული პერსონალის შერჩევის პროცედურაზე. წარმოდგენილი ჩანაწერის

მიხედვით, პროცესი ორ ეტაპს მოიცავდა: თავდაპირველად კანდიდატების დოკუმენტაციის მიღებას, შემდეგ კი მათ მიერ ლექციების ჩატარებას. მას აინტერესებდა, ესწრებოდა თუ არა აღნიშნულ ლექციებს ინგლისური ენის სპეციალისტი. გარდა ამისა, ირმა მანჯავიძე დაინტერესდა დასკვნაში მოცემულ ჩანაწერთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით ექსპერტთა დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაწესებულებას ჩატარებული ჰქონდა გამოკითხვა, რომლის შედეგები იმ დროისთვის დაწესებულებას რა ჰქონდა დამუშავებული. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, რომელი დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა განახორციელა დაწესებულებამ და რა შედეგები გამოიკვეთა. მან ასევე დაწესებულებას სთოვა დამატებით პოზიციის დაფიქსირება OSCE-ს შედეგების ვალიდურობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე.
დაწესებულების წარმომადგენლის, მარიამ დარბაიძის, განმარტებით, უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა კონკურსის წესით ხორციელდება. კანდიდატებს მოეთხოვებათ ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონე და ინგლისურ ენაზე ლექციების ჩატარების გამოცდილება. აღნიშნული პროგრამის აკადემიური პერსონალის შესარჩევი კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ შესაბამისი გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც კანდიდატების მიერ ჩატარებულ სალექციო პროცესს აფასებდნენ.
მისი თქმით, დაწესებულებაში უკვე ჩატარდა ერთი ტრენინგი სწავლების მეთოდების მიმართულებით, ხოლო პროგრამის ამოქმედებამდე კიდევ ერთი ტრენინგის ჩატარებაა დაგეგმილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა უნივერსიტეტში სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დანერგილი პრაქტიკა, რომელიც დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის საკითხებს მოიცავს. მისი განმარტებით, დაწესებულება ანალოგიური მიდგომის გამოყენებას აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც გეგმავს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:36
დასრულების დრო: 16:58

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუს "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2027 წლის 31 დეკემბრამდე და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200 სტუდენტით განსაზღვრის საკითხი.

აკრედიტაციის საბჭოს კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის მოწვეული საბჭოს კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3, მე-4 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2} -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}

-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა, მე-3^3 და მე-5 პუნქტების, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2027 წლის 31 დეკემბრამდე და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს განსაზღვრული რჩევები.

საბჭოს მიერ გაკეთებული შენიშვნა: დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დანართის მიხედვით, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით მითითებული იყო შემდეგი ინფორმაცია: პირველ მიღებაზე – 30 სტუდენტი, ხოლო მომდევნო სასწავლო წლებში – ყოველწლიურად 35-35 სტუდენტი. მიუხედავად ამისა, დასკვნის ცხრილში მოთხოვნილ სტუდენტთა რაოდენობად მითითებული იყო 30, ვინაიდან ექსპერტებს ექვსი წლის განმავლობაში მისაღებ სტუდენტთა საერთო რაოდენობა არ შეუჯამებიათ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭომ დააზუსტა დაასკვნაში მოცემული ხარვეზი და დაწესებულებას საბოლოოდ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განუსაზღვრა 200 სტუდენტი.

დაწესებულებას დაევალა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულება და თვითშეფასების ანგარიშში ასახვა ხელახალი აკრედიტაციის მიზნით სააკრედიტაციო განაცხადის ცენტრში წარმოდგენის დროს.
საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2026 წლის 20 ოქტომბერს.

აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დატოვეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დამსწრე მოწვეულმა წევრებმა.

მესამე საკითხი: შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: I ნაწილი - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი; II ნაწილი - კვლევის მაგისტრი ბიზნესის ადმინისტრირებაში;
დეტლური სფეროს დასახლება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ინგლისური
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ვალერიან გობრონიძე.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ცენტრის თანამშრომელმა საბჭოს წევრებს გააცნო საერთაშორისო ექსპერტის, სტეფან ჰანდკეს წერილი, რომლის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა საფუძვლიანი შეფასება თვითშეფასების ანგარიშის, მოდულების სახელმძღვანელოს, დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებისა და 2026 წლის 16 სექტემბერს განხორციელებული ადგილზე ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე. ვიზიტის დროს ჯგუფმა ვრცელი, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები გამართა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებელთა წარმომადგენლებთან და ადმინისტრაციული მხარდაჭერის პერსონალთან. საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფმა ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ეროვნულ აკრედიტაციის სტანდარტებთან მეტწილ შესაბამისობაში შეაფასა. პროგრამა ხასიათდება მნიშვნელოვანი ინსტიტუციური უპირატესობებით, მათ შორის, მოქნილი, ორეტაპიანი სტრუქტურით, რომელიც მოიცავს ორ ნაწილს: პირველი ნაწილი - MBA (ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი), 60 ECTS კრედიტი; მეორე ნაწილი - კვლევითი მაგისტრატურა, 60 ECTS კრედიტი. ყველა სტანდარტთან სრულ შესაბამისობის მისაღწევად ექსპერტთა ჯგუფმა გასცა 8 სავალდებულო რეკომენდაცია და 9 არასავალდებულო რჩევა პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. სრულ შესაბამისობასთან დაკავშირებული ძირითადი პირობები შეეხება შემდეგ საკითხებს:

- **სტუდენტის დატვირთვისა და ECTS კრედიტების გაანგარიშების უნიფიცირება:** სტუდენტ ის დატვირთვის გაანგარიშების ერთიანი მიდგომის დანერგვა ყველა სილაბუსსა და პროგრამის დოკუმენტში, დაწესებულებაში მოქმედ კრედიტების კონვერტაციის წესებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, საჭიროა შეუსაბამობების აღმოფხვრა კრედიტების გაანგარიშების 25-საათიან ჩარჩოსა და სასწავლო კურსების 30-საათიან სილაბუსებს შორის.
- **დოკუმენტაციის რედაქციული გამართვა და ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესება:** პ როგრამის ოფიციალური დოკუმენტაციის სისტემური რედაქტირება, რათა აღმოიფხვრას

შაბლონებიდან შემორჩენილი შეუსაბამო ჩანაწერები, მათ შორის, სემინარების აღწერებში სამედიცინო აღჭურვილობის შემთხვევითი მოხსენიება და სამაგისტრო სილაბუსებში საბაკალავრო საფეხურის აღმნიშვნელი ჩანაწერები.

- **კვლევითი კომპონენტის შესაბამისობა და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკები:** ს ამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკების მკაფიოდ დაკავშირება პროგრამის მეორე ნაწილის სწავლის შედეგებთან (PLOs) და შეფასების გამჭვირვალე, კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემის შემუშავება, რომელშიც დეტალურად იქნება განსაზღვრული ქულების განაწილება.
- **ჩარიცხვის წინაპირობების გამჭვირვალობა:** ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნის, მისი აღიარების კრიტერიუმებისა და შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი მისაღები დოკუმენტების ოფიციალურ მისაღებ წესებში მკაფიოდ განსაზღვრა.
- **დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი ციკლი:** სასწავლო გეგმის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება და შეფასების შედეგად გამოვლენილი მიგნებების სისტემური აღრიცხვისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა PDCA ციკლის ფარგლებში.

ანგარიშის პროექტის წარდგენის შემდეგ, 2026 წლის 9 ოქტომბერს, შპს თბილისის ჰუმანიტარულმა უნივერსიტეტმა წარმოადგინა დეტალური არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფმა გულდასმით განიხილა უნივერსიტეტის უკუკავშირი, დაეთანხმა რამდენიმე საკითხთან დაკავშირებულ განმარტებას და შესაბამისი ცვლილებები ასახა საბოლოო დასკვნაში, რომელიც 2026 წლის 14 ოქტომბერს წარედგინა ცენტრს.
საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის აქტიური ჩართულობა ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. მათი შეფასებით, აღნიშნული რეკომენდაციების თანმიმდევრული და სისტემური შესრულება პროგრამას საშუალებას მისცემს, უზრუნველყოს მაღალი ხარისხის, საერთაშორისო ორიენტაციის მქონე სამაგისტრო განათლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუსვამთ

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:06
დასრულების დრო: 17:08

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2032 წლის 01 მარტამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2} -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5} -ე

მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27[6] -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს განსაზღვრული რჩევები.

საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2026 წლის 20 ოქტომბერს.

მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: I ნაწილი - სპორტის მაგისტრი; II ნაწილი - კვლევის მაგისტრი სპორტში
დეტლური სფეროს დასახლება და კოდი: სპორტი, 1014
სწავლების ენა: ქართული
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა პეტრე ბაბილუამ.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ლელა აფციაურმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი გაიზიარა, თუმცა რამდენიმე რეკომენდაცია კვლავ გასათვალისწინებელია, მათ შორის, პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებული საკითხი. მისი განმარტებით, უნივერსიტეტმა პრაქტიკის კომპონენტისთვის გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა 10-დან 6 კრედიტამდე შეამცირა. დაწესებულების არგუმენტით, პრაქტიკული სწავლება მხოლოდ ამ კომპონენტით არ შემოიფარგლება, რადგან კვლევითი და პრაქტიკული სწავლების ელემენტები ინტეგრირებულია 22 სასწავლო კურსში. ამასთან, სტუდენტთა უმრავლესობა სპორტსმენია და მათ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილებაც აქვთ. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ სპეციალიზაციის პრაქტიკის კომპონენტს დამოუკიდებელი დატვირთვა და მიზანი აქვს და იგი არ გულისხმობს კონკრეტულ სპორტის სახეობაში სამწვრთნელო უნარების განვითარებას. მისი დანიშნულებაა, სტუდენტებს პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი კომპეტენციები განუვითაროს. მისი განცხადებით, დაწესებულებამ სხვა რეკომენდაციებიც გაითვალისწინა, თუმცა მიზანშეწონილი იქნებოდა მათი შესრულების დამატებით გადამოწმება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, შალვა კელეპტრიშვილმა, ყურადღება გაამახვილა რეკომენდაციაზე, რომელიც პროგრამის საერთო მიზნის დაკონკრეტებას ეხებოდა და დაინტერესდა, კონკრეტულად რა იგულისხმებოდა აღნიშნულ მოთხოვნაში.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ლელა აფციაურმა, განმარტა, რომ საჭირო იყო პროგრამის პირველი და მეორე ნაწილების ურთიერთკავშირის დაზუსტება.
შალვა კელეპტრიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნის მიხედვით, პროგრამის მეორე ნაწილის მიზანი კვლევით კომპონენტს ასახავს, თუმცა მიზანში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმძღვანელობით სტუდენტის პირველი დამოუკიდებელი ნაშრომის მომზადებისა და განხორციელების საკითხი. ამასთან, მან იკითხა, რამდენად რელევანტური იყო პროგრამის მიზანში სამეცნიერო ხელმძღვანელებთან კონსულტაციების მითითება.
ლელა აფციაურმა განმარტა, რომ აღნიშნული ჩანაწერი სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებულ საკითხებს გულისხმობდა.
შალვა კელეპტრიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომი, რომლის დაშვების წინაპირობადაც ყველა ძირითადი სასწავლო კურსის გავლაა განსაზღვრული. თუმცა, ბოლო სემესტრში სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომთან ერთად კიდევ ერთი ძირითადი სასწავლო კურსი აქვს გასავლელი, რაც, მისი შეფასებით ეწინააღმდგებეა სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ზუბიტაშვილმა, აღნიშნა,დაწესებულება ეთანხმება გაცემულ რეკომენდაიებს მიმდინარე ეტაპზე ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია. ამასთან, მან განმარტა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განსაზღვრული ხუთი სამუშაო დღე ყველა რეკომენდაციის სრულად შესასრულებლად საკმარისი არ აღმოჩნდა, ამიტომ ვერ მოახერხა დაწესებულებამ შესრულებული რეკომენდაციების წარდგენა ექსპერტთა ჯგუფისთვის დასკვნის მომზადების პროცესში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:18
დასრულების დრო: 17: 30

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 60 კალენდარული დღის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღიანი ვადა.

მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ანთროპოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული შეფასების პროცესი);

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ანთროპოლოგია
საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დოქტორი
დეტლური სფეროს დასახლება და კოდი: 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
სწავლების ენა: ქართული
სტატუსი: აკრედიტებული

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი პეტრე ბაბილუა.
საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა მაია ბარბაქაძემ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადეს ქეთევან აფთარაშვილმა, შალვა კელეპტრიშვილმა, თამარ მერაბიშვილმა, პეტრე ბაბილუამ და მარიამ ხოფერიამ, თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, თამარ ჩარკვიანმა, აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასების პროცესი 24- 27 სექტემბერს მიმდინარეობდა. ექსპერტებმა შეაფასეს პროგრამის შესაბამისობა შემდეგი კომპონენენტებთან მიმართებით: 1.1, 1.2, 1.3, 1.5, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 4.1 და 4.2. შეფასების შედეგად პროგრამა დადებითად შეფასდა. ვინაიდან მნიშვნელოვანი ხარვეზები არ გამოვლენილა, ექსპერტებს სავალდებულო რეკომენდაციები არ გაუციათ. ძირითადი აქცენტი რჩევებზე გაკეთდა და სულ 8 რჩევა გაიცა. ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა, დამატებით აღნიშნა, რომ რჩევები გამჭვირვალობის უზრუნველყოფას ემსახურება და სასურველია, დაწესებულებამ მათი გათვალისწინება განიხილოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუსვამთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:35
დასრულების დრო: 17: 40

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ანთროპოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდესსსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ანთროპოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიატციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული ინჟინერია
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი: ელექტრონიკა და ავტომატიზაცია, 0714
სწავლების ენა : ინგლისური
კრედიტი: 240
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა მაია ბარბაქაძემ, ვალერიან გობრონიძემ, ავთანდილ თავხელიძემ, შალვა კელეპტრიშვილმა, თეა ნარეკლიშვილმა, ნინო ხოლუაშვილმა და ლევან ციცქიშვილმა, თ ვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი მაია ბარბაქაძე.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა პეტრე ბაბილუამ.

ექსპერტის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ლია კურტანიძემ, აღნიშნა, რომ აკრედიტაციის პროცესის შედეგად დაწესებულებას 7 რეკომენდაცია განესაზღვრა, რომელთა უმრავლესობა პირველ სტანდარტს ეხებოდა. შესაბამისად, აღნიშნული სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ექსპერტის განმარტებით, შესწავლილ დოკუმენტებზე დაყრდნობით ექსპერტის შეფასებით გაცემული ყველა რეკომენდაცია დაწესებულებამ სრულად შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა, ექსპერტს მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით მიმართა კითხვით. რეკომენდაცია შეეხებოდა შემდეგ საკითხს: „რეკომენდირებულია, რომ პროგრამამ გადახედოს შეფასებისათვის შერჩეული კურსების სილაბუსებს, რომ მათ მოიცვას პროგრამის სწავლის შედეგი.“ საბჭოს წევრს აინტერესებდა, რას გულისხმობდა ექსპერტი დასკვნაში მოცემული ჩანაწერთან მიმართებით: „რეკომენდაცია შესრულებულია, დაწესებულებამ წარმოადგინა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტი“.
ექსპერტმა, ლია კურტანიძემ, განმარტა, რომ აღნიშნული ჩანაწერი ტექნიკურ უზუსტობას შეიცავდა. მისი განმარტებით, რეკომენდაციის შესაბამისად, დაწესებულებამ წარმოადგინა როგორც სილაბუსები, ისე შეფასების მექანიზმის დოკუმენტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:01
დასრულების დრო: 18:03

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:06 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე



